საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/235 " 14 " დეკემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე ნ. ჩახნაშვილის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4^1 პუნქტის შესაბამისად, ნინო ჩახნაშვილი 2018 წლის 18 იანვრიდან გამწესდა თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის საფუძველზე 2019 წლის 15 ივლისიდან ნინო ჩახნაშვილი, თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე–36^4 მუხლების შესაბამისად, 2018 წლის 18 იანვრიდან 2020 წლის 18 სექტემბრამდე პერიოდში ნინო ჩახნაშვილის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (ი. ბონდარენკო; რ. ნადარაია; ი. შენგელია) და სამი არამოსამართლე (ზ. ხარებავა; ლ. გზირიშვილი; ნ. ჯანეზაშვილი) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ექვსივე წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 531 ქულას, რაც წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 88,5%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (**მომხრე:** ი. ბონდარენკო; ი. გელაშვილი; ლ. გზირიშვილი; დ. გვრიტიშვილი; თ. ლეონიძე; ნ. მარსაგიშვილი; ვ. მშვენიერაძე; თ. ონიანი; ნ. ქადაგიძე; შ. ქადაგიძე; თ. ღვამიჩავა; ი. შენგელია; ქ. ცინცაძე; ზ. ხარებავა. **წინააღმდეგი:** ნ. ჯანეზაშვილი.) „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4^1 და 4^2 პუნქტების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი 2021 წლის 18 იანვრიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე